ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 618

19 დეკემბერი
“ ” 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი №36-ის მიმდებარედ არსებული ორი ერთეული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: №01.10.14.012.207; №01.10.14.012.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ერთი ყავასთვის“ (ს/ნ. 435894212) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი №36-ის მიმდებარედ არსებული ორი ერთეული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: №01.10.14.012.207; №01.10.14.012.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ერთი ყავასთვის“ (ს/ნ. 435894212) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 6 დეკემბრის №23.1853.2049 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი №36-ის მიმდებარედ არსებული ორი ერთეული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: №01.10.14.012.207; №01.10.14.012.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ერთი ყავასთვის“ (ს/ნ. 435894212) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 960 (ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე